ტესტი ისტორიაში

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი ინფორმაციაა მართებული სასანიანთა ირანის შესახებ?

ა) სასანიანთა ირანში ზოროასტრიზმი ხელისუფლების ცენტრალიზაციის მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა;

ბ) მიდიის იმპერიის დასუსტებას ხორასანის პროვინციაში ადგილობრივ მმართველთა, კერძოდ, სასანიანთა დინასტიის გაძლიერება მოჰყვა;

გ) ბიზანტიასთან გაფორმებული დამასკოს ზავით სამხრეთ კავკასია სასანიანთა ირანის გავლენის სფეროში მოექცა;

დ) არაბთა დაპყრობების შედეგად სასანიანთა ირანის სახელმწიფო სტრუქტურების ისლამიზაცია მოხდა.

(1) 2. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა მურვან ყრუს ლაშქრობა კავკასიაში?

ა) თბილისის ამირას ურჩობამ ხალიფას მიმართ;

ბ) ხაზარებისა და მათ მოკავშირეთა ლაშქრობებმა კავკასიაში;

გ) პართიის სახელმწიფოს მცდელობამ თავისი გავლენის სფეროდ ექცია კავკასია;

დ) ბიზანტიელთა მიერ ტვიროსის ზავის დარღვევამ და კავკასიაში მათი ჯარის შემოსვლამ.

(1) 3. რომელი ისტორიული მოვლენა უკავშირდება კარლოს (კარლ) მარტელს?

ა) კორდობას საამიროს ჩამოყალიბება;

ბ) არაბთა დამარცხება პუატიეს ბრძოლაში;

გ) ვესტგოთების სამეფოს განადგურება პირენეებზე;

დ) ვანდალების განდევნა პაპის ოლქიდან.

(1) **4. რომელი მსჯელობაა მართებული დავით III კურაპალატის შესახებ?**

ა) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში;

ბ) საფუძველი ჩაუყარა პირველი დამოუკიდებელი სამთავროს ჩამოყალიბებას სამხრეთ საქართველოში;

გ) ყველაზე ადრე მიიღო საქართველოს მეფის ტიტული და დაიწყო ქართული სამეფოების გაერთიანება;

დ) წარმატებით მოიგერია სელჩუკთა თავდასხმები და შემდეგ თბილისის ამირაც დაიმორჩილა.

(1) **5. რამ განაპირობა, რომ დავით აღმაშენებელმა ბაღვაშთა მამული სამეფო საკუთრებად აქცია?**

ა) ერისთავთა ოჯახის წევრთა გამუსლიმებამ;

ბ) ფეოდალთა სამფლობელოების ხელახლა გადანაწილებამ;

გ) ეკლესიის მიერ მოღალატე ერისთავის განკვეთამ;

დ) საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის უმემკვიდროდ გარდაცვალებამ.

(1) 6. რომელი ინფორმაციაა მართებული გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკის შესახებ?

ა) მოურავის თანამდებობა შემოიღო და მათ მხოლოდ ჯარის შეკრების უფლება მიანიჭა;

ბ) სახელმწიფო რამდენიმე სადროშოდ დაყო და მათ სათავეში ეპისკოპოსები ჩააყენა;

გ) სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად სახალხო კრება მოიწვია, რომელმაც შეზღუდა დიდებულთა უფლებები;

დ) დააწინაურა დაბალი სოციალური წარმომავლობის ერთგული პირები, რომლებმაც დემნა უფლისწულის აჯანყებისას მას დაუჭირეს მხარი.

(1) 7. ვისი მეთაურობით დაიპყრეს ესპანელებმა აცტეკთა სახელმწიფო?

ა) ერნან კორტესის;

ბ) ფრანსისკო პისაროს;

გ) ვასკო და გამას;

დ) ხუან სებასტიან ელკანოს.

(1) **8. სხვა მიზეზებთან ერთად რომელ სახელმწიფოსთან დაპირისპირებამ განაპირობა თემურ ლენგის კავკასიაში პირველი შემოჭრა?**

ა) ოსმალთა სახელმწიფოსთან;

ბ) ოქროს ურდოსთან;

გ) ილხანთა საყაენოსთან;

დ) სეფიანთა ირანთან.

(1) **9. სულხან-საბა ორბელიანის მიერ საფრანგეთის ხელისუფლებისათვის გაგზავნილი წერილის მიხედვით, რა შემთხვევაში ემუქრებოდა საქართველოს გამუსლიმება?**

ა) თუ ქერიმ ხანი დაამარცხებდა თეიმურაზ I-ს და თბილისს აიღებდა;

ბ) თუ ვახტანგ VI ირანში ხანგრძლივად დარჩებოდა ტყვეობაში;

გ) თუ სვიმონ I ვერ მიიღებდა შეპირებულ სამხედრო დახმარებას;

დ) თუ აბას მირზა გიორგი XI-ს სიკვდილით დასჯიდა.

(1) **10. რა ვალდებულება *<u>არ აუღია</u>* რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე გეორგიევსკის ტრაქტატით?**

ა) ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის;

ბ) მტრების მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების გათავისუფლების შემთხვევაში ამ მიწების ქართლ-კახეთისათვის დაბრუნების;

გ) დასავლეთ საქართველოს ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შესვლისათვის ხელის შეწყობის;

დ) ქართლ-კახეთის დასაცავად აქ მუდმივად ჯარის გარკვეული რაოდენობის განთავსების.

(1) 11. რომელ სახელმწიფოს წაართვა რუსეთის იმპერიამ ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები?

ა) ოსმალეთს;

ბ) სომხეთს;

გ) აზერბაიჯანს;

დ) ირანს.

(1) **12. რა უკავშირდება ჯუზეპე მაძინის მოღვაწეობას?**

ა) ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ ბრძოლა;

ბ) ფრიდრიხ II-ის ომებში მონაწილეობა;

გ) იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლა;

დ) უნგრელთა აჯანყების ჩახშობა.

(1) **13. რომელ ომში მონაწილეობდა საფრანგეთის მეორე იმპერია?**

ა) ყირიმის ომში;

ბ) ჩრდილოეთის ომში;

გ) შვიდწლიან ომში;

დ) ოცდაათწლიან ომში.

(1) 14. რა ეწოდებოდა 1919 წელს საქართველოში არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს?

ა) დამფუძნებელი კრება;

ბ) უმაღლესი საბჭო;

გ) სახელმწიფო სათათბირო;

დ) დეპუტატთა ყრილობა.

(1) **15. რომელ სახელმწიფოში დაიწყო ე. წ. „დიდი დეპრესია“?**

ა) სსრკ-ში;

ბ) ჩინეთში;

გ) აშშ-ში;

დ) ესპანეთში.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ჯვაროსნულ ომებში მონაწილეები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.

1. ბალდუინ I ბულონელი
2. საფრანგეთის მეფე ლუი VII
3. საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტი

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართველი მონარქები მოღვაწეობის დროის მიხედვით.

1. იმერეთის მეფე სოლომონ II
2. კახეთის მეფე თეიმურაზ I
3. ქართლის მეფე ლუარსაბ I

(1) **18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები.**

1. ელ-ალამეინის ბრძოლა
2. სსრკ-ს თავდასხმა ფინეთზე
3. გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ წყაროებში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





ტექსტი იხილეთ შემდეგ გვერდზე

1709 წელს ფრანგები ბრიტანელებისა და მათი მოკავშირეებისაგან შემდგარი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრნენ. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ერთ-ერთი სოფლის სიახლოვეში შეხვდნენ. ფრანგთა ფლანგები ტყეში განლაგდა, ხოლო ცენტრში მყოფმა ჯარისკაცებმა გაშლილ ველზე დაიკავეს პოზიციები. მხედართმთავრის გადაწყვეტილებით ფრანგებმა თავდაცვითი ზღუდეები ააგეს. დილას ფლანგებზე ბრძოლა გაჩაღდა. ერთ-ერთ ფლანგზე ფრანგებმა მტრის შეტევა მოიგერიეს, დიდი დანაკარგი მიაყენეს და უკუაგდეს. სხვა ფლანგზე, რომელსაც გერმანელები უტევდნენ, ფრანგები ნელ-ნელა უკან იხევდნენ. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ამ ფლანგზე გერმანელებს დამხმარე ჯარიც მიუვიდა. შექმნილი ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, ცენტრში მყოფი ბრიტანელთა მხედართმთავარი აყოვნებდა და შეტევის ბრძანებას არ იძლეოდა. ამასობაში, ფლანგზე გერმანელთა გარღვევა მეტად სახიფათო აღმოჩნდა. ფრანგთა მხედართმთავარი იძულებული გახდა არასასურველი ბრძანება გაეცა, ხოლო შემდეგ თვითონაც ამ ფლანგისაკენ დაიძრა, თუმცა გზაში დაჭრეს და ბრძოლას გამოეთიშა. სწორედ ამ დროს ბრიტანელთა მხედართმთავარმა ისარგებლა მოწინააღმდეგის მხედართმთავრის ბრძანების შედეგად ფრანგთა ცენტრში შექმნილი ვითარებით და მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდა. ცენტრში ფრანგთა პირველი თავდაცვითი ზღუდე დაეცა. ბრძოლის ბედის შემოტრიალებას ფრანგთა ახალი მხედართმთავარი, ბუფლერი რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა, თუმცა ამაოდ.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) 19.1. რომელი სოფლის მიდამოებში გაიმართა ბრძოლა?

(1) 19.2. რომელი ეროვნების ჯარისკაცები ეხმარებოდნენ გერმანელებს ფრანგების ერთ-ერთ ფლანგზე იერიშისას?

(1) 19.3. კონკრეტულად რა არასასურველი ბრძანების გაცემა მოუწია ფრანგთა მხედართმთავარს?

(1) 19.4. ფრანგების მოწინააღმდეგეთა არმიის რომელმა ფლანგმა მიაღწია წარმატებას ბრძოლის მხოლოდ მეორე ეტაპზე?

(2) 19.5. სრულად დაასახელეთ, ვინ მხედართმთავრობდნენ ფრანგთა არმიას ბრძოლის მსვლელობისას.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **20.1.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, სადაც ილუსტრაციაზე ასახული მოვლენა განვითარდა? ილუსტრაციაზე მოცემული რა კონკრეტული ინფორმაცია ადასტურებს, რომ ის თქვენ მიერ დასახელებულ სახელმწიფოში განვითარდა?

(2) **20.2.** რა არის ილუსტრაციის მთავარი იდეა? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე მოცემული კონკრეტული ინფორმაციის მიხედვით.

(1) **20.3.** რა კონკრეტული პოლიტიკური შედეგი მოჰყვა ილუსტრაციაზე ასახულ მოვლენას?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **21.1.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქი აიღეს ორჯერ რუკაზე აღნიშნული ლაშქრობების შედეგად?

(1) **21.2.** რომელი ტომის ლაშქრობებია აღნიშნული რუკაზე შავი ფერით?

(2) **21.3.** რუკის მიხედვით დაასახელეთ აფრიკის კონტინენტზე მდებარე ქალაქის სახელწოდება და ვანდალთა ტომის მიერ მისი აღების თარიღი.

(2) **21.4.** რუკის მიხედვით, რომელი კუნძული მიატოვა მწვანე ფერით აღნიშნულმა სახელმწიფომ 410 წელს და დაასახელეთ ამ კუნძულზე მდებარე ქალაქის სახელწოდება.

(2) **21.5.** დაასახელეთ სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიები დალაშქრა შავი ფერის ისრით აღნიშნულმა ტომმა რუკაზე ასახულ პერიოდში?

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22. ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

22.1 და 22.2 კითხვებზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი და შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

22.3 და 22.4 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

22.5 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალება 22.

XVI საუკუნეში ნიდერლანდებში დაიწყო ბრძოლა ესპანეთის წინააღმდეგ.

კითხვები:

(1) **22.1.** დაასახელეთ ამ ბრძოლის დაწყების ერთი კონკრეტული **სოციალურ-ეკონომიკური** მიზეზი.

(1) **22.2.** დაასახელეთ ამ ბრძოლის ერთი კონკრეტული **პოლიტიკური** შედეგი.

(1) **22.3.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ეს ბრძოლა, გარდა გამარჯვებულებისა და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **22.4.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ეს ბრძოლა უარყოფითი შედეგის მომტანი, გარდა დამარცხებულებისა და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **22.5.** დაასახელეთ XVI-XVIII საუკუნეებში განვითარებული ანალოგიური მოვლენა და მოიტანეთ ორი ფაქტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

დავალება 23. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

რუსეთის იმპერატორის მანიფესტი

ჩვენ, ალექსანდრე I, იმპერატორი სრულიად რუსეთისა, განვუცხადებთ საქართველოს სამეფოს ყველა მკვიდრს.

აღა მაჰმად-ხანის ძლიერი თავდასხმის საპასუხოდ განსვენებულმა დიდმა ხელმწიფემ ეკატერინემ 1796 წელს გაგზავნა თავისი ჯარის ნაწილი. მაშინდელი წარმატება არა მხოლოდ განარიდებდა საფრთხეს საქართველოს სამეფოს, არამედ დაიპყრობდა ყველა ხალხსა და მხარეს კასპიის ზღვის სანაპიროდან მტკვრამდე და არაქსამდე, მაგრამ რუსეთის ჯარის მოულოდნელმა და სწრაფმა უკანდახევამ გააქარწყლეს თქვენი სამართლიანი მოლოდინი.

შემდგომ თქვენს თავს დატრიალებულმა უბედურებამ: სხვა ხალხთა თავდასხმამ, ქალაქებისა და სოფლების დაქცევამ, მამების, დედების, ცოლებისა და შვილების დატყვევებამ და გატაცებამ, და ბოლოს, დაპირისპირებამ სამეფო ოჯახში და ამის გამო ხალხის დაყოფამ ტახტის სხვადასხვა მაძიებელთა მხარდამჭერებად, თქვენში ურთიერთბრძოლა გამოიწვია. უფსკრულის წინაშე მდგომარენი არაერთხელ მოუწოდებდით მფარველობისათვის რუსეთს. ჩვენი ჯარის შესვლამ და ომარ-ხანის დამარცხებამ: შეაჩერა თქვენი განადგურება, დააშინა ყველა თავდამსხმელი, თქვენშიც დამყარდა სიწყნარე.

ჩვენ ტახტზე ასვლისას უკვე ვნახეთ საქართველო შეერთებული რუსეთთან, როგორც ეს გამოცხადებული იყო 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით.

ჩავუღრმავდით თქვენს მდგომარეობას და დავინახეთ, რომ მხოლოდ რუსეთის ჯარის ყოფნა

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

საქართველოში აჩერებს ჩვენი ერთმორწმუნეების სისხლისღვრას და საბოლოო დაღუპვას, რასაც გიქადიან თქვენი მეზობელი ურწმუნო და აგრესიული ხალხები. კიდევ ერთხელ ვცადეთ, იყო თუ არა შესაძლებელი აღგვედგინა თავდაპირველი მმართველობა ჩვენი მფარველობის ქვეშ და ამით დაცვა თქვენი უშიშროებისა და სიმშვიდისა.

წარსულმა მმართველობამ მეფისა ირაკლისა, რომელმაც ღირსებითა და სიმტკიცითა გააერთიანა ყოველივე, ვერ შეძლო უზრუნველეყო ვერც შიდა და ვერც გარე უსაფრთხოება. შექმნილმა გარემოებამ და ამის გამო საქართველოს ხალხის ხმამ გადაგვაწყვეტინა, არ დაგვეტოვებინა უბედურებაში ერთმორწმუნენი, რომელთაც თავისი ხვედრი რუსეთს ჩააბარეს. თქვენი გაღვიძებული იმედი ამჯერად არ იქნება მოტყუებული.

არა აღორძინებისათვის ძალისა, არა ქონებისა, არა გავრცელებისა საკუთარი საზღვრებისა ისედაც უკვე ვრცელი იმპერიისა, მივიღეთ ჩვენ საკუთარ თავზე მმართველობა საქართველოს სამეფოსა.

მხოლოდ ღირსება და ადამიანურობა გვაკისრებს საღვთო ვალს, რათა დავაწესოთ საქართველოში მმართველობა, რომელიც დაამყარებს მართლმსაჯულებას, ქონებისა და პირადი უსაფრთხოების დაცვას და თითოეულს მისცემს კანონის დაცვის საშუალებას.

თქვენი ქვეყნის გადასახადები თქვენთანვე დარჩება და რაც მორჩება მმართველობის ხარჯებიდან,

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გამოიყენება ქალაქებისა და სოფლების აღსადგენად. თითოეული თქვენგანი დარჩება საკუთარ მდგომარეობაში თავისუფლად და შეუფერხებლად სარწმუნოებისა და საკუთარი თავისა.

მეფის ძეები შეინარჩუნებენ საკუთარ მამულებს, გარდა გადახვეწილებისა. გადახვეწილებს მიეცემათ საკუთარი მამულის შემოსავალი ფულით ყოველწლიურად იქ, სადაც იქნებიან, თუკი იქნებიან ფიცის ერთგულნი.

ყოველივე ამის სანაცვლოდ ვითხოვთ, რომ დადოთ ერთგულების ფიცი. სამღვდელოებას პირველს მართებს მაგალითის მიცემა.

და ბოლოს, თქვენც იგრძნობთ სიკეთეს კარგი მმართველობისა. დაე, აღდგეს თქვენ შორის მშვიდობა, მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება და შეწყდეს თვითნებობა, უთანხმოება. თითოეულმა შეძლოს დაკავდეს მიწათმოქმედებით, ვაჭრობით, ხელსაქმეობით, სარეწაოებით.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

ქართული სამართლის ძეგლები ტ. II. თბილისი, 1965. გვ. 552

კითხვები:

(1) **23.1.** რას ვუწოდებთ იმ ქართულ სამეფოს, რომელიც დოკუმენტში მოხსენიებულია „საქართველოდ“?

(1) **23.2.** დოკუმენტის მიხედვით დაასახელეთ სრულად იმ ტერიტორიის საზღვრები, რომელთა დაკავებასაც რუსეთი 1796 წლის ლაშქრობისას აპირებდა?

(1) **23.3.** დაასახელეთ იმპერატორი, რომელმაც გამოსცა 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი.

(1) **23.4.** თქვენი აზრით, რა იგულისხმება დოკუმენტში მოცემულ ფრაზაში - „ჩავუღრმავდით თქვენს მდგომარეობას“?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **23.5.** თქვენი აზრით, რატომ არიან „საქართველოს“ მეზობელი ხალხები მოხსენიებული ურწმუნოებად?

(1) **23.6.** თქვენი აზრით, რამდენად მართებულად აღწერს დოკუმენტი რეალურად არსებულ ვითარებას? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **23.7.** დოკუმენტის მიხედვით სრულად დაასახელეთ, რა შედეგი მოუტანა ქართველებს ომარ-ხანის დამარცხებამ.

(2) **23.8.** რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული 1796 წლის ლაშქრობა და დოკუმენტის მიხედვით, რა იყო მიზეზი ამ ლაშქრობისა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) 23.9. დოკუმენტის მიხედვით, რა შეძლო და რა ვერ შეძლო მეფე ირაკლიმ?

(2) 23.10. დოკუმენტის მიხედვით სრულად ჩამოთვალეთ, თუ რაში დაიხარჯებოდა „საქართველოში“ აკრეფილი გადასახადები.

(2) 23.11. დოკუმენტის მიხედვით, რას შეინარჩუნებდნენ სამეფოში დარჩენილი მეფის ძეები და რას გადახვეწილები და რა შემთხვევაში?

(2) 23.12. დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა მაგალითი უნდა მიეცა სამღვდელოებას, და, თქვენი აზრით, რატომ სწორედ სამღვდელოებას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე